საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის ხალხთა დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№1 (6382) 1 იანვარი სამშაბათი 1991 წელი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგილოცავთ!

თავისუფლების, ერთიანობის, სიკეთისა და სიყვარულის წელი დაგდგომოდეთ! ურთიერთმტრობა, გაუტანლობა და სიძულვილი გაშორებოთ, ფუძე-ჰერი დაგეღოცოთ, ერი გაგიმრავლდეთ, მოყვარე გაგიმარჯვდეთ, მტერი დაგიმარცხდეთ!

...და ახალი წელიც მოვიდა

დაბედილი ბედაურივით გარბის დრო, ისე სწრაფად იცვლება მოვლენები, გაზრდებას ვერ ასწრებს კაცი. ქართველი ასე გულდამძიმებული, დაძაბული, შეწუხებული საქართველოს ისტორიის მანძილზე თითქმის არასოდეს ყოფილა.

პრესა, ტელევიზია, რადიო—[illegible] პოლიტიკურ სიმზეა [illegible]ომართული. პოლიტიკური უთანხმოება, დაპირისპირებები, მიტინგები, გაფიცვები, [illegible]ომშილობანი, ბანდიტიზმი, [illegible]ვლელობა—ასე გვარგუნა [illegible]ედმა.

[illegible]ამასობაში ახალი წელიც [illegible]ვიწვია. 1990 წელი კი თვალსა და ხელშუა გაგვიფრინდა. ბრძოლაში, ნერვების [illegible]ვეტაში.

[illegible]მაგრამ, ვფიქრობთ, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველის ნებას გამოვხატავთ თუ ვიტყვით, რომ [illegible]ული წელი საქართველოს ისტორიაში იყო გამორჩეული, დირსშესანიშნავი. ქართველმა ხალხმა პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ თავისი ბედი ანდო ბლოკს—„მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“ დღეს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას იმედით, ნუგეშით, თანადგომით შეჰყურებს სრულიად საქართველო. მაგრამ სავალალოდ რთულ ექსტრემალურ ვითარებაში წარმართავს იგი ქართველი ხალხის სასიცოცხლო კანონებისა და პრობლემების გადაწყვეტას. საბჭოეთის 70-წლიანმა ისტორიამ, პარტიულმა დიქტატმა, კი მართალია, დაგვარწმუნა, რომ ოპოზიცია საჭიროა, დემოკრატია საჭიროა, პოლიტიკური პოზიციების სხვადასხვაობასაც არავინ გვიშლის, მაგრამ შუღლი და ურთიერთლანძღვა, ქართველი ხალხის ახლადარჩეული ხელისუფლების გაუთავებელი ცილისწამება—ეს ვერაფერი ქართველობაა.

ახალი წელი კი მოვიდა, ძვირფასო ქართველნო! ახალი იმედების, სიმშვიდის, სიხარულის, საქართველოს სრული თავისუფლებისათვის ბრძოლის წელი. შუღლი და გაუტანლობა, ღვარძლი და ეჭვი ძველ წელიწადს გავაყოლოთ. გვეყოფა ნერვების წყვეტა, გვეყოფა მსხვერპლი, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთმანეთი, დაგვბედებოდეს სიმშვიდე, გონიერება, სიყვარული, სიხარული.

დადგა ახალი წელი, ვისაც საქართველოს სიკეთე და უკეთესი ხვალე უნდა, შრომით და მხოლოდ შრომით, კონკრეტული საქმეებით უნდა გამოხატოს ეს. ჩვენს დანგრეულ ეკონომიკას, მოსალოდნელ ეკონომიკურ სანქციებს ჩვენი ძალისხმევა და მკლავებდაკაპიწებული შრომა დასჭირდება. ოფლი და გონიერება დასჭირდება. სხვანაირად არ მოვა თავისუფლება, ქართველი ხალხის სანუკვარი ნანატრი დღე.

მაშ, ახალი საქართველოსთვის დავირაზმოთ ყველა!

გულით მოგილოცავთ ახალ წელიწადს, ძვირფასო მეგობრებო! ამაღლებულ განწყობას გისურვებთ.

მეაბრეშუმეობას—მწვანე გზა!

იქმნება პარკის მწარმოებელთა კავშირები

რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო საკოორდინაციო ასოციაცია „აბრეშუმის“ შექმნასთან და ჩვენი რაიონის კოლმეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით იქმნება აბრეშუმის პარკის მწარმოებელთა კავშირები, რომელშიაც ერთიანდებიან მეაბრეშუმეები, ყველა, ვისაც სურვილი აქვს ხელი შეაშველოს ჩვენს დანგრეულ ეკონომიკას, ვისაც დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა ოდნავ მაინც აღელვებს ამ კავშირის გარეშე არ დარჩება.

უსახელოურის მევენახეობის მეურნეობის მეაბრეშუმეებს მომდინარე წელს 2250 კილოგრამი აბრეშუმის პარკი უნდა ეწარმოებინათ და ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის, მათ კი გეგმა ვერ შეასრულეს და მხოლოდ 1700 კილოგრამი აბრეშუმის პარკი აწარმოეს. გეგმის შესრულებას თითქმის ნახევარ ტონამდე ძვირფასი ნედლეული დააკლდა. ამ საკმაოდ დიდ რეგიონში, სადაც სულ ოთხი სოფელია გაერთიანებული, თუ მონდომება იქნებოდა, ამდენი აბრეშუმის პარკის წარმოება თითქმის ერთ სოფელში იყო შესაძლებელი. მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ მეაბრეშუმეები მონდომებით არ მოეკიდნენ საქმეს. იმისათვის, რომ თავი არ შეეწუხებინათ პირდაპირ დანაშაულებრივ მოქმედებასაც არ მოერიდნენ და ჩვენს მიერ ჩაბარებული აბრეშუმის მური გადაყარეს. სწორედ ამიტომაა, რომ სამწუხაროდ, საკმაოდ გრძელია იმათი სია, ვინც ასეთი ბოროტება ჩაიდინა. და ის, რაც მოწეულია ერთეულთა მონდომებული შრომით იქნა მიღწეული.

ახლა, როცა აბრეშუმის ფასმა თითქმის ორმაგად და მეტად მოიმატა, ამ დღეებში ვხვდებით მეაბრეშუმეებს, ვგებულობთ მათ სურვილებს, მისწრაფებებს და ბევრია ისეთი, რომლებსაც გულთან ახლოს მიაქვს რესპუბლიკის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და მიუხედავად სიძნელეებისა, მზადაა გასულ წელზე მეტი აბრეშუმის პარკი მოიწიოს და მიჰყიდოს სახელმწიფოს, ასე, მაგალითად, ზუბელმა მეაბრეშუმემ ციცო ბენიძემ, გასულ წელს დამამზადებელ პუნქტს 80 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, წელს კი, ეს ახალგაზრდა ქალი, სამი შვილის დედა მზადაა თუ მეტი არა, 100 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მაინც მოიწიოს, გასულ წელზე მეტი აბრეშუმის პარკის მოწევა იკისრეს ასევე მეაბრეშუმე ქალებმა—ეენია, გუგული ბენიძეებმა, გალინა დავითულიანმა, ეენია აკობიძემ, ნათელა უგრეხელიძემ, დუშა, მერი, საზი, გოგუცა მუშკუდიანებმა, სონია, ფოთოლა უგრეხელიძეებმა, რომლებიც პირველები გაერთიანდნენ აბრეშუმის პარკის მწარმოებელთა კავშირში. ვიმედოვნებთ, რომ მათ მაგალითს გაითვალისწინებენ სხვებიც.

ია გედენიძე.

ზუბ-ოყურეშის რეგიონის მეაბრეშუმე აგრონომი.

შეჯამდა კონკურსის შედეგები

კიდევ ერთი წელი მიითვალა დროის უსასრულობამ. ერთი წლის გახდა ლიტერატურული კლუბი „ცისფერი სარწყული“. ახალ წელს მრავალ შემოქმედებით სიხარულს ვუსურვებთ კლუბის წევრებს, „ცისფერ სარწყულს“ კი ავტორთა სიმრავლეს, ჟანრის მრავალფეროვნებას.

ახლახან შეჯამდა „ცისფერი სარწყულის“ ნორჩ ავტორთა კონკურსი, რომელიც ახალგაზრდობის კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათაოებირომ გამოაცხადა.

პირველი პრემია (100 მანეთი) მიეკუთვნა ზუბის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს ნანა აკობიძეს ჩანახატისთვის „შემოდგომის პალიტრა“.

მეორე პრემია (50 მანეთი)—კვლავ ნანა აკობიძეს ლექსისათვის „სიზმარი“.

მესამე პრემია (30 მანეთი) მიენიჭა ჩქუმის არასრულ საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეს გელა ბენდელიანს ჩანახატისთვის „დედა“.

მეევნახეობისა და მეღვინეობის განვითარების პრობლემები

გაზეთ „ლეჩხუმის“ 15 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ ჩემს პუბლიკაციაში ძირითადად საუბარი იყო მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების პრობლემებზე. გაკვრით ნახსენები იყო ხილი, თუმცა აღნიშნულ საკითხზე უკეთესია დარგის სპეციალისტებმა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი. მაგრამ მეც მინდა ამ დარგში ზოგიერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება, რადგან მათი მოგვარება ჩვენ მეღვინეებსაც შეგვიძლია, რა თქმა უნდა, ჩვენს კოლეგებთან, მეკონსერვე ამხანაგებთან კონტაქტით.

ხილზე რომ ვსაუბრობ, ამ დარგის სპეციალისტებმა შეიძლება თქვან—მეღვინეებმა თავისი საქმე აკეთონო. ეს, რა თქმა უნდა, ერთის მხრივ სწორია. პირადად მე ძალიან მომხვდა გულზე, როცა ამ ზაფხულს ერთ-ერთ საგაზეთო ნომერში ე. კუხალაშვილმა გვამცნო, რომ დაგეგმილი არიან მომავალი წლიდან მიიღონ უნიკალური ჯიშის „ოჯალეშის“ ყურძენი და დაამზადონ ღვინო „ოჯალეში“. ჩვენ ამ საკითხზე გარკვეული პოზიცია გვაქვს თერჯოლელი ამხანაგების მიმართ, რომლებმაც გასულ წლებში მიაღწიეს იმას, რომ წაეღოთ ჩვენი რაიონიდან ყურძენი, მაგრამ როდესაც ყურძნის ფასმა ჩვენს სისტემაშიც მოიმატა, ჩვენ მივაღწიეთ, რომ „ოჯალეში“ ჩვენვე გადაგვემუშავებინა და თერჯოლისაკენ მიმავალი ყურძნით დატვირთული მანქანები უკან დავაბრუნეთ. ყურძენი გადავამუშავეთ და შედეგიც არის. გასულ წელს დავამზადეთ საკმარისად ნახევარტკბილი „ოჯალეში“ და ნახევრადმშრალი „ბარაკონის“ მასალები.

დღეს ჩვენი საწარმოები საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაა აღჭურვილი და მე მგონი ნეგატიური იქნება ყურძენი ან თერჯოლაში წავიდას, ან საკონსერვო მრეწველობამ გადაამუშაოს, რადგან ნედლეულის ფულადი ანაზღაურება თითქმის ერთნაირია.

ჩვენი რაიონის ეკონომიკის ძირითადი წყარო ვაზთან ერთად ხილიც არის ოლოგონე ხილი და ლეჩხუმელი კაცი განუყოფელია. მე მგონი საწყენია ის, რომ ხილს ადგილზევე, რაიონში ვერ ვამუშავებთ და საკმარისი რაოდენობით გადის რაიონს გარეთ. მე მგონი თითოეული კილოგრამი ყურძენი იქნება ეს თუ ხილი, რაიონის ეკონომიკას წინ წასწევს.

ჩვენ მეღვინეებმა გასულ წელს სხვა ქარხნებიდან შემოვიტანეთ 70000 დეკალიტრი ღვინო მასალა და ამით დიდი მოგება ვნახეთ.

წინა პუბლიკაციაში დავაყენეთ საკითხი ჩვენს რაიონში არსებული ხილის უნიკალური ჯიშების ჩვენს საწარმოებში გადამუშავების შესახებ. ეს ის ხილი უნდა იყოს, რომლის გადამუშავებასაც ჩვენი ადგილობრივი სასურსათო კომბინატი ვერ შეძლებს და ჩვენ კი, რა თქმა უნდა, მათთან შეთანხმებით მივიღებთ მას და გადავამუშავებთ. რაც შეეხება საბოლოო პროდუქტს, ჩვენ უკვე ვმუშაობთ ზოგიერთი ხილის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის საბოლოო სახის მიღწევაზე. ვამუშავებთ ახალი სახის სასმელს, რომლის ადგილზევე ჩამოსხმაც გვაქვს გათვალისწინებული.

ისევ ფიქრები კეთილ-მოსურნე

აღნიშნული საკითხები ნაწილობრივ შეთანხმებულია ზემდგომ ორგანოებთან და მე მგონი, ხელი არავინ არ უნდა შეგვიშალოს, რადგან ცუდი საქმე არ კეთდება.

წინა პუბლიკაციაში სხვა საკითხებთან ერთად დაყენებული იყო საკითხი ღვინის ადგილზე დამუშავების და მისთვის საბოლოო სახის მიცემაზე—ადგილზევე ჩამოსხმით, რაც უკვე ძირითადში შეთანხმებულია. მხოლოდ თავს იკავებენ ქახეურად ტკბილი და ნახევრადმშრალი ღვინოების რეალიზაციაზე, მაგრამ მომავალში ისიც დადებითად გადაწყდება.

ყურძნის გადამუშავებისა და სხვა საკითხებთან ერთად წარმოების სახელმწიფო კომიტეტში შემოგვთავაზეს მოგვეხდინა ჩვენი რაიონის მინერალური წყლების ჩამოსხმა. ეს არ არის ცუდი საქმე, რაიონში არის ორგანიზაცია, რომელიც ამას აკეთებს, მაგრამ ჩვენ გვინდა აღნიშნულ საქმეს მივცეთ უფრო ფართო მასშტაბი, სამრეწველო სახელოშიპალისა და ძუღურის ახლოს, ორბელის ღვინის საწარმოში, განზრახული გვაქვს მინერალური და უალკოჰოლო სასმელი წყლების საჩამომსხმელო ხაზის მოწყობა.

რაც შეეხება ორგანიზაციას, რომელიც ამ საქმეს აკეთებს, მასთან გამოვნახავთ საერთო ენას, მათ საქმიანობასაც შევუწყობთ ხელს, ისინი ფინანსების ნაკლებობას განიცდიან.

არის ერთი საკითხი, რომელიც ყურადღების ღირსია. ჩვენს სისტემას ქუთაისის ტერიტორიაზე გააჩნდა ბაზა, სადაც ხდებოდა ტვირთის და პროდუქციის მიღება და გაგზავნა. აღნიშნული ბაზა ლიკვიდირებულია. აუცილებელია იგი აღდგეს, რადგან უამრავი ბოთლი და ტარა-მასალა, რომლის მიღება-გაგზავნასაც ჩვენ ვფიქრობთ, უნდა მოხდეს აღნიშნული ბაზის მეშვეობით. აღნიშნული საკითხი დროზეა მოსაგვარებელი. ყოფილი ბაზის ტერიტორიას თანდათანობით ითვისებენ ქუთაისის ღვინის ქარხნისა და ჩვენივე სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივები. საჭიროა რაისაბჭოს აღმასკომმა დასვას აღნიშნული საკითხი ქუთაისის ხელმძღვანელობის წინაშე.

წინა პუბლიკაციაში დასმული საკითხები ჩვენს მიერ დაყენებულია „სამტრესტის“ წინაშე, რასაც მოწონებით შეხვდნენ, ბევრ რამეს მივაღწიეთ და გვიჭერენ მხარს. მივაღწიეთ იმას, რომ გვექნება ახალი მარკის ლეჩხუმური ნახევრადმშრალი ღვინო, რომელსაც გვინდა დავარქვათ „ლეჩხუმი“ ან „ლეჩხუმური“. ამ ღვინის ტექნოლოგია უკვე წარდგენილია სადაც საჭიროა და მალე დამტკიცდება. მიღწეულია ბევრ სხვა დასმულ საკითხში შეთანხმება, რომელთა განხორციელება არც თუ ისე იოლი საქმეა. ისიც კმარა, რომ იჯარაზე ყოფნის პერიოდში თითქმის არაფერი გვიკეთებია წარმოების გაფართოებისათვის, რისთვისაც სახსრები საკმაოდ გაგვაჩნდა.

მე პირადად გადავწყვიტე მოვინაცვლო სამუშაო ადგილი და წავიდე ორბელის ღვინის საწარმოში, სადაც არის საკმარისი ნედლეულის ბაზა, საორთქლე, სამაცივრო მეურნეობები, ვაკუმაპარატები და სხვა. აღნიშნული დასმული საკითხების გაკეთებას იქ ვფიქრობ, წარმოებასთან ახლოს და მოვითხოვ მხარდაჭერას.

ერთმა ჩემმა კარგმა მეგობარმა, ყოფილმა ჟურნალისტმა და პარტიულმა მუშაკმა ამას წინათ მითხრა, ჟურნალისტობა დაგიწყიაო. ჟურნალისტობას არ ვიჩემებ. ის მეტად საპატიო და რთული საქმეა, მითუმეტეს ჩემნაირი სპეციალისტისათვის, მაგრამ მე მსურს ლეჩხუმში მევენახეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის განვითარების პრობლემებზე სხვებმაც იფიქრონ, რადგან ეს არის ჩვენი რაიონის ეკონომიკის წამყვანი დარგები.

ერთსაც ვიტყვი, ვმუშაობ ხილის ღვინოების დაყენების საკითხზე. ლეჩხუმური ყურძენი, ხილი და თითქმის ყველაფერი უნიკალურია და არც ერთი კილოგრამი არ უნდა გავიდეს რაიონს გარეთ, სანამ მას საბოლოო სახე არ მიეცემა და რაიონს არ წაადგება.

ჯ. ახვლედიანი.
ცაგერის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე.

გთხოვთ აღნიშნული და წინა პუბლიკაციების პონორარი გადარიცხოთ მ. კოსტავას სახელობის ფონდში.

ბარაქა დაგებედოს!

ლეჩხუმში ერთი ლამაზი და მოხდენილი სოფელია ზოგიში, სადაც ბევრი საქმისათვის ერთგული, გამრჯე და მუყაითი მუშაკაცი ცხოვრობს. თავიანთი მარჯვენის მადლით ხვავითა და ბარაქით სავსე ოჯახები აქვთ, თავსაც არგიან და საჭიროების შემთხვევაში სხვათათვის დახმარება და გვერდით დგომაც გაუხდიათ ცხოვრების მიზნად.

მათ შორისაა სოფლის მკვიდრი შალვა ქრისტეფორეს ძე ხვადაგიანი. ეს მრავალჭირნახული კაცი, ომის ქარცეცხლგამოვლილია და მშვიდობიანი ცხოვრების ტვირთსაც აქტიურად ეწევა. სამოც წელს გადაცილებულია და ბურჯად უდგას მშობლიურ სოფელს. სად არ შეხვდებით, ვაზის მოვლაა და მუდამ მის გვერდითაა, ესმის, მინდიასავით იცის მისი საქმიანობა. არც ერთი წელი არ ახსოვს, რომ მოსავალი არ შეენარჩუნებინოს, კარგი ღვინის დაყენებით სოფელში არ გამოერჩიოთ.

კაცი თავისთვის რომ ვარგა, ის სხვისთვისაც გამოსადეგიაო,— უთქვამთ, ჭირშიც და ლხინშიც თანასოფლელთა გვერდითაა. სოფელში კლუბის მშენებლობა იყო და 1972 წლიდან მშენებარე ახლა, რომ მოთავების პროცესშია, მას უმადლიან თანასოფლელები.

სანაქებო ოჯახი აქვს ამ შრომა-გარჯის მოყვარე კაცს. სამი შვილის მამას სამივე დაოჯახებული ჰყავს. ამას ზინა სტუდენტი, შეილიშვილის ცოლს ბერთოთაც გაჰყავს.

შალვა ხვადაგიანი მუშაკაცისათვის დამახასიათებელი სიდინჯითა და გონიერებით უყურებს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას, შორს იხედება თავისი მოსაზრება აქვს თავისი ერის დღევანდელ ძნელბედობაზე, მაგრამ მოვლენებს არ უსწრებს, სიტყვა ძუნწობს.

ახალი წელი, მაინც ახალი წელია და იმედებით, სიხარულით ხვდება მას თითოეული ჩვენგანი. ახლა თოვლშია გახვეული ეს კოპწია სოფელი და სიჩუმეში ჩაძირულა ახალი წლის მოლოდინში. ამ მუშაკაცის სიხარულით სავსე ოჯახშიც გაიშლება საახალწლო სუფრა და იგი ჩვენი მაღაზიებისა და ბაზრის შემხედვარე ადამიანების საახალწლო სუფრისგან განსხვავებით ხვავით და ბარაქით იქნება სავსე, რადგან ბაზარსა და მაღაზიაში შალვა ხვადაგიანს არაფერი ესაქმება, საახალწლო სუფრა მის ნაშრომნაამაგარით, ოჯახში მოწეულ-ნაწარმოებით სავსე ექნება.

ღმერთმა მშვიდობიანი წელი დაგიყენოს და სიკეთეში დაგეხარჯოს შენი მოწეულ-დაწურული, ბარაქა და სიუხვე ნუ მოგკლებოდეს მუშაკაცო.

ჯ. მანდარია.

რეზონანსი

◆

„ჩვენი პრობლემები ყველამ გავითავისოთ“

გაზეთ „ლეჩხუმის“ 4 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ცაგერის საგზაო სამმართველოს უფროსის მოადგილის ა. კიზირიას წერილი „ჩვენი პრობლემები ყველამ გავითავისოთ“, რომელშიც ვკითხულობთ: „ცენტრმა კიდევ ერთხელ მოიქნია კუდი და დაავალა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საგზაო ორგანიზაციებს შეუწყვიტონ მეოთხე კვარტლის დაფინანსება. რა იქნება მომავალში? არადა 1991 წლიდან რესპუბლიკური გზების პარალელურად უნდა დაიწყოს „ჭალისთავი—ზედა ლუხვანოს, ლუხვანო—ზარაგულას, მახურის, აღვი—კენაშის—ნაკურალეშის გზების შეკეთება. გასაკეთებელია მცირე მალიანი 12 ხიდი და სხვა სამუშაოები“.

ჩვენი პატარა ორგანიზაცია რესპუბლიკურ ბიუჯეტზე ზის და არავითარი საშუალება არა გვაქვს, რომ გვერდში დაუდგეთ საგზაო სამმართველოს, არადა იგი მკვეთრ ფინანსურ სიძნელეს განიცდის. სწორედ ამიტომ დამებადა აზრი, რომ პირადი დანაზოგებით 15-20 მანეთის ფარგლებში რაიონის ყველა ოჯახმა იკისროს თანხის გაღება გარდამავალ პერიოდში (ხუთი წელი) სოფლების, შიდასასოფლო გზების კეთილმოწყობისათვის, რომელიც მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცევა საგზაო სამმართველოს განკარგულებაში.

ამიტომ მოგმართავთ ყველას რაიონულ და სასოფლო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რაიონის ყველა მკვიდრს, ვისთვისაც ძვირფასია ლეჩხუმი. მისი გზა და იერ-სახე, შევქმნათ სასოფლო გზების მშენებლობის ყულაბა და ჩვენივე სახსრებით ვუპატრონოთ ჩვენს მხარეს.

ლ. ღიპარტელიანი.
ცაგერის თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: სოფლის პედაგოგები 1970 წლიდან ვღებულობდით კომუნალური მომსახურებისათვის თანხას, რომელიც სინამდვილეში შეშით მომარაგების თანხა იყო, რადგან ფიზიკურად შეშით მომარაგება ვერ ხდებოდა სათანადო ორგანიზაციისაგან, ხოლო ფულის ხელზე გაცემაც არ მიაჩნდათ კანონიერად, შეშისათვის გამოყოფილ თანხას გვირიცხავდნენ განათებაზე. იმ დროისათვის თუ არ ვცდები 3 კუბური მეტრი შეშა იყო ერთ პედაგოგზე გამოყოფილი.

როგორც გავიგეთ, დღეს გამოყოფილმა შეშამ კუბურ მეტრებში მოიმატა. ხოლო რადგან არ ხდება ფიზიკურად მომარაგება, თანხა უნდა მიეცეს მასწავლებელს ხელზე.

გთხოვთ გაგვარკვიოთ რა რაოდენობის თანხა ეკუთვნის სამთრის განთბობისათვის მასწავლებელს, რაზეა დამოკიდებული თანხის რაოდენობა.

ი. გურჯალიანი.
მასწავლებელი.
სოფ. ლაჯანა.

პასუხი: ცაგერის რაიონში ადგილზე მოქმედი კანონის თანახმად, განათლების სისტემის მუშაკებზე დაწესებული იქნა განათებისათვის თანხა 10 მანეთის ოდენობით, ხოლო გათბობისათვის მასწავლებლის ერთ სულიან ოჯახზე იცემა თანხა 64 მანეთი და 80 კაპიკი, ორსულიან ოჯახზე 71 მანეთი და 28 კაპიკი, ხოლო სამ სულზე და ზევით ეძლევა 77 მანეთი და 74 კაპიკი.

იმ შემთხვევაში თუ კი მომხმარებელს შეშის ნაცვლად სურს მიიღოს შესაბამისი ღირებულების ანაზღაურება, განცხადებით უნდა მიმართოს იმ დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელიც მას უწევს საბუღალტრო სამსახურს.

თავისუფლება გვიბოძე მხოლოდ

გველის წელიწადმა მართლა გველივით გადაისრიალა საქართველოს ნატყვიარ მკერდზე, გადაისრიალა და თავისი გესლი ზედ დაანთხია, უცნაური მოლოდინით შევეგებეთ ცხენის წელიწადს, ჩვენ ხომ ასე დანატრულნი ვიყავით ნაკვთადკეთილ, ჯიშიან ქართულ ბედაურს, სიცოცხლის ფასად რომ გადაარჩენდა და სანაპიროზე გაიყვანდა მხედარს...

ასეთი ბედაური აღმოჩნდა ჩვენთვის ცხენის წელიწადი, რომელმაც თავდაუზოგავი ჭენებით მიიყვანა თავისუფლების კარიბჭესთან უდრეკი მხედარი—საქართველო.

ახლა კი კარდაკარ დაადიჯებს ახალი წელი. რას გვპირდება, ნეტავ...

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი წელი ქართველი ერისთვის, ზღვა სიხარულისა და ბედნიერების მომტანი.

მოხვედ მშვიდობით, ახალო წელო, სხვას არას შეგთხოვთ, თავისუფლება გვიბოძე მხოლოდ.

მშვიდობა შენდა, ახალო წელო!
მშვიდობა შენდა...

* * *

თოვლის ფანტელები როგორ ირევიან
და რარიგ თბილია ქართული ზამთარი,
ასე სხივოსანი თოვლის ფიფქებია,
იქორი წკრიალებს თავსავსე ყათხაში.

ჭერი დაგელოცოთ, ფუძე დაგელოცოთ,
ქედი დაელოცოთ შვინდებს და წიქარებს,
მხსნელად მოგვევლინე, თეთრი ანგელოზო
კალთა დაგვახურე, ფრთებით დაგვიფარე.

ფრთებით დაგვიფარე, თორემ დავიქანცეთ,
ილაჯი გაუწყდა ქართველის მარჯვენას,
როს უნდა იქნიო ხმალი აქეთ-იქეთ,
ძნელია ძალიან, ძნელია გაძლება.
და მაინც გავძელით, ქართული სისხლია

დატოტვილ ძარღვებში ასე რომ ხმიანობს,
მთებზე რომ ჩამოწვა, ქართული ნისლია,
ქართული ზარია, ასე რომ წკრიალებს.
ო, რარიგ თბილია ქართული ზამთარი,

ახალი წელია, ზღურბლზე რომ დამდგარა,
ფიქრები ახალი, ოცნება ახალი,
შიშისგან უჩუმრად გამქრალა სატანა.
ჭერი დაგელოცოდ, ფუძე დაგელოცოთ,

ქედი დაელოცოთ შვინდებს და წიქარებს,
მხსნელად მოგვევლინე, თეთრო ანგელოზო
კალთა დაგვახურე, ფრთებით დაგვიფარე!

ნანა აკოგიძე.

,,ლეჩხუმს“ წერილები

კარგი იქნება, თუ

დაიბეჭდება

რაიონული გაზეთი წინათ სისტემატურად ბეჭდავდა ტელევიზიის პროგრამებს, რითაც კმაყოფილი ვიყავით, - რამეთუ ყველას არ აქვს საშუალება გამოიწეროს „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, შემდგომ ვიღაცის თუ რაღაცის მიზეზით შეწყდა პროგრამების გამოქვეყნება.

რაიონული გაზეთი თითქმის ყველა ოჯახს აქვს გამოწერილი ლეჩხუმში. ამიტომ, ჩემის აზრით მიმაჩნია, რომ სატელევიზიო პროგრამებს გავეცნოთ წინდაწინ, გაზეთში გამოქვეყნებით. მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში უნდა ვიცოდეთ რა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პრობლემებზე როდის რა გადაცემებია ეთერში.

სასიხარულოა, რომ ჩვენი რაიონის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე, პროცესებზე - მოეწყობა ტელეგადაცემები—უჩვენებს ცაგერი. ალბათ ჩვენ წინასწარ ვიქნებით ინფორმირებული ამ გადაცემების შინაარსისა და პერიოდულობის შესახებაც, რაც აუცილებელია.

ა. შკუგულიანი,
სოფ. ქვედა ცაგერი.

მუდამ გეთესოს სიკეთე

ავტომანქანის საჭესთან ჯდომა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მძღოლს, მით, უფრო მაშინ, როცა მოზარდის სიცოცხლე აბარია.

კარგი ახალგაზრდაა ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ბორის ბანძელაძე. მისი ავტობუსით 23 დეკემბერს ცაგერის საშუალო სკოლის მერვე-ა კლასის მოსწავლეები წავედით საექსკურსიოდ მარშრუტით: ცაგერი-გელათი-ქუთაისი-ცაგერი.

ჩვენ, მისი უმცროსები დავრწმუნდით, რომ კაცურ კაცობა, ადამიანობა და პროფესიის სიყვარული დიდი განძი ყოფილა.

მადლობას გიხდით და ახალ 1991 წელს გილოცავთ, ბორის, დაგბედებოდეთ სიხარული, ბედნიერება. ასე გეთესოდ სიკეთე მუდამ.

ცაგერის საშუალო სკოლის მე-8-ა კლასის მოსწავლეები.

გულისხმიანებით სულით და გულით

მოვიდა კიდევ ერთი ახალი წელიწადი. მე ერთ-ერთი ქართველი ქალი, ბუნების ნებით, ისევ ლოგინიდან უნდა შევეხმიანო ახალი წლის წინ იმ ადამიანებს, ვისაც ჩემი სატკივარი სტკივათ, მათი ნუგეში და იმედი, ცოდნა და გულისხმიერება მასულდგმულებს.

ადრეც მითქვამს ჯანმრთელობის დაცვის ამ მუშაკებზე, დამიწერია ჩვენს გაზეთში, მაგრამ უფლება ვერ მომიცია თავისთვის კვლავ არ შევაქო—მე ხომ მათგან ვცოცხლობ.

არ შემიძლია რაისაავადმყოფოდან გამოვყო რომელიმე, დაწყებული მთავარი ექიმიდან. ასევე დიდი პატივი დამდო კბილის ექიმმა იაგო ყურაშვილმა, რაიონული აფთიაქის გამგემ ნ. ცხვედიანმა და მთელმა მისმა კოლექტივმა.

სხვა რა შემიძლია. ახალ, 1991 წლის დადგომას გილოცავთ ჯანმრთელობის მუშაკებო! მუდამ გქონოდეთ სხვისი სატკივრის განცდისა და თანამოზიარეობის უნარი, თქვენი ცოდნა და ადამიანური შესაძლებლობა სიცოცხლის გადარჩენისათვის გეხარჯოთ!

თინა შკუგულიანი.
ქ. ცაგერი.

საპასუხოდ

ბიბლიური წელი დგება! ვნატრობდით და მეტი-ნაკლებ ძმათა შურით?—უკაცრავად, ქართველთ ~~ძმის~~ დროშით მოდის!

ეს ფიქრები ჯადოსნური ეფინება მთებს, სანახებს,
ქართველ კაცის ვაჟკაცობას ერთხელ კიდევ დაგვანახებს.
ერთხელ კიდევ გვანუგეშებს კაცით, ღმერთით, მისი ხატით,
და ამ წყეულ იმპერიას ამოახრჩობს ბუღით, ხვატით.
მობრძანდება ასი ეტლით, სადღეგრძელოს იცის ფასი,
სამაჩაბლოს და აფხაზეთს ბურღავს მზერა პაატასი..
თვალში როგორ ჩაგვეხედა, ქართლის გული რომ გაგვეყო...
ეჰ... აკვანიც სისხლიანი. უნდა გეყოს, უნდა გეყოს!
ისმის მრავალქამიერი, ქართულ გენებს ვიღაც აქებს,
კარზე მეკვლე გვიკაკუნებს —მაინძელო, აქეთ, აქეთ!
საახალწლო ხურჯინიდან ვერ იგემებს ფლიდი ნაღებს,
უკაცრავად, უშრომელად აწი ვეღარ გაილაღებს,
გამრავლების სურვილებით დახუნძლული მოაქვს ხონჩა,
საქართველო ქართველებით მეცხრე ცაზე ზევით მოჩანს..
გზას ვადგავართ ხიფათიანს, ერთგულება ახლა გვმართებს,
თანხმობით და სიყვარულით იმ დიად აზრს გავამართლებთ!
უჰ, თორმეტიც რომ შესრულდა?! გადავდივართ ახალ დროში,
შევსვათ ყველამ სადღეგრძელო სამფეროვან ქართველის დროშის!
და დავლოცოთ საქართველო, იმედით და ამიერით.
ვთქვათ სიმღერა ძველებური—ტკბილი მრავალქამიერი!

დ. ჩოგბოლიანი.

ვედრება

ჰოი, მამულო, დიდი ხანია, გაუკრთა შენს შვილთ ძილი და შვება...
წუთი წუთს მისდევს, ცის კაბადონზე ნათელ ფერებში სიბნელე დნება,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ მიწაზე სიმარი ის სხივი შეარხევს ფარდას,
ქრისტეს ბოძებულ მცნებებზე აღზრდილთ სხვა არა უნდათ კუთვნილის გარდა.
აღსდგნენ სულები უცხო მიწაზე და ქართველურად შეკრეს კამარა.
ცა გადასცურეს, ზღვა გადალახეს, ფუძეს ეძახის მათი ჭაღარა,—
არ გვეკადრება წამოჩოქება!—სათვის ტომოში ჭქუხს ვაუკაცთ დასი.
თავისუფლების აყღერდა ჰიმნი, თავისუფლების იღვრება ჭანგი,
მეცხრე ცაში მყოფთ მშობელ მიწიდან მოესმით კვნესა ხმატკბილი ჩანგის.
წელო ახალო, ქართველთ იმედად გაშალე ფრთები, შემოდგი ფეხი!
თავს დაგვაბერტყე სიკეთის კალთა, მოსპე ფლიდი და ფიცის გამტეხი!
შენ შეუბრუნე გული ურწმუნოთ ნინოს ჯვარისაკენ აღაპყრონ ხელი,
უწმინდეს მცნების აღიარებით დაასამარონ ფიქრები ბნელი.
არა კაც კლაო! დავიწყებიათ, გული, პატივი აბყრიათ ერის
სულში სატანა ჩასახლებულა, აღზევებულა სისხლი კაენის.
ნოეს კიდობანს არ ჰყავდა ეშმა, ახლა რაღამ შვა მტანჯველად ჩვენდა?!
ბილწმა ზრახვებმა ხელყო ფაქიზი, ცხარე ცრემლებით ატირდა დედა.
წელო ახალო, გზის გასაყართან შეხვდით, შორდებით ერთგული ძმები,
მის გაკვალულ გზას დაადექ, მტკიცედ, თუ გაგიჭირდა, დაესესხები.
შეაკავშირე უფლის წილხვედრნი, დაასამარე ვერაგი მტერი!—
ამას გთხოვს მრავალტანჯული მიწა და გევედრება ქართველი ერი.

ნ. ფრუიძე.

რას გვპირდება იანვარი?

ძველი ინდური ჰოროსკოპის მიხედვით ყოველ თვეში ადამიანის ცხოვრება სხვადასხვანაირ კალაპოტში მიედინება. რას გვპირდება თითოეულ ჩვენგანს იანვარი? ამაზე პასუხს მოგცემთ ქვემოთ მოყვანილი ამ თვის ჰოროსკოპი.

21 მარტიდან 20 აპრილამდე დაბადებულთ:

თქვენ უფრო მეტს მიაღწევთ, თუ შეინარჩუნებთ დამოუკიდებლობას. ერიდეთ ამ თვეში მაინცდამაინც მნიშვნელოვანი საქმეების დაგეგმვას, რადგან ეს თვე თქვენთვის არც თუ ისე იღბლიანია, ყური მიუგდეთ მეგობრის რჩევას, მოერიდეთ თქვენი ავტორიტეტის ხშირ გამოყენებას. ამ თვეში თქვენთვის იღბლიანი რიცხვებია 2, 6, 11, 20, 29, ფრთხილად იყავით რიცხვებში 1, 4, 5, 8, 9, 12, 16, 22, 23, 26, 28, 30.

21 აპრილიდან 21 მაისი

თქვენთვის იანვრის თვე იღბლიანია, იყავით უფრო თავშეკავებული ნაცნობებთან, სრულად გამოიყენეთ თქვენი შესაძლებლობები, მოერიდეთ დროის და ფულის ხარჯვას. რაიმე საკითხის გადაწყვეტისას ნუ აჩქარდებით. ამ თვეში თქვენთვის იღბლიანი რიცხვებია 2, 10, 12, 15, 17, 20, 21, 24, 30. ფრთხილად იყავით 1, 5, 9, 13, 19, 22, 25, 27.

22 მაისიდან 21 ივნისი

თქვენი წარმატება დამოკიდებულია მხოლოდდამხოლოდ პირად კავშირებზე, ეცადეთ პარტნიორებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ, ნუ მიეცემით სასოწარკვეთას მცირე უკმაყოფილებისათვის, ნუ იქნებით ეჭვიანები და ნუ გაერევით დახლართულ საქმეებში: იცოდე წააგებთ. ამ თვეში თქვენთვის იღბლიანი დღეებია: 2, 7, 11, 14, 21, 23, 26, 29. ფრთხილად იყავით 1, 8, 15, 16, 20, 22, 24, 27,31.

22 ივნისიდან 23 ივლისი

თქვენ გაგიმართლებთ, თუ შეიკავებთ ემოციებს, იქნებით უფრო გულღიანი და ყურადღებიანი ახლობლებთან. თქვენ ამ თვეში გაქვთ შანსი ბევრი შეცდომის გამოსწორებისა. სხვათა ნათქვამიდან ყველაფერს ნუ დაიჯერებთ. ამ თვეში თქვენთვის იღბლიანი დღეებია: 2, 3, 11, 12, 16, 17, 24, 25, 29, 31. სიძნელეები გელოდებათ: 1, 4, 7, 9, 13, 15, 21, 23, 27, 28.

24 ივლისიდან 23 აგვისტომდე

თქვენ ამ თვეში გიმართლებთ მეგობრებთან ურთიერთობაში, და აქტიური სამსახურებრივ საქმიანობაში. მხოლოდ მოერიდეთ ზედმეტ ემოციებს, დაბნეულობას. შეაფასეთ ადამიანები ჭკუით და არა ჩაცმულობით. თქვენ გელოდებათ პროფესიული წარმატება. ამ თვეში თქვენთვის იღბლიანი რიცხვებია: 2, 3, 7, 12, 13, 17. სიძნელეები გელოდებათ: 8, 14, 15, 18, 29.

24 აგვისტოდან 23 სექტემბერი

თქვენთვის შესაფერისი დროა დაგეგმოთ მომავალი: თქვენი წინადადებები აუცილებლად მოწონებული იქნა. კონტაქტი დაამყარეთ მცოდნე ხალხთან. მოერიდეთ პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე კამათს. იყავით უფრო ყურადღებიანი ოჯახის წევრებს შორის. თქვენთვის იღბლიანი რიცხვებია 2, 8, 11, 14, 26, 29. უიღბლო 1, 8, 15, 20, 22, 24, 31.

24 სექტემბერიდან 23 ოქტომბერი

თქვენ ამ თვეში არ გიმართლებთ, მოერიდეთ ვალების აღებას, ეთანხმიებებს, ნუ ეცდებით ერთდროულად რამდენიმე საქმის მოგვარებას, მოკლედ—ნუ მოინდომებთ ბევრის მიღწევას, დაკმაყოფილდით მიღწეული წარმატებებით. იღბლიანი რიცხვებია 2, 10, 12, 15, 17, 20, 21, 24, 30. უიღბლო 1, 5, 9, 13, 19, 22, 25, 27.

24 ოქტომბერიდან 22 ნოემბერი

ეს თქვენთვის რთული თვეა. შეინარჩუნეთ სიმტკიცე და თავდაჭერა. იქონიეთ მეგობრების დახმარების იმედი. მეტი ყურადღება დაუთმეთ ახლობლებს. ეცადეთ ბევრი მოისმინოთ და ცოტა ილაპარაკოთ, მოერიდეთ უპასუხისმგებლობას. დათრგუნეთ თქვენში მოჯანყე სული, მოერიდეთ ჩხუბს. იღბლიანი რიცხვებია 2, 4, 7, 11, 12, 21, 25, 29. უიღბლო 1, 5, 6, 8—10, 20, 26, 28, 30.

23 ნოემბერიდან 21 დეკემბერი.

კონტროლი გაუწიეთ შემოსავალს და გასავალს. სხვათა შორის, გაგიჩნდებათ სურვილი ხელოვნებისაკენ სწრაფვისა; ამ თვეში თქვენი ცხოვრების ტაქტიკაა: სულიერი და ეკონომიური სიძლიერის შენარჩუნება. ნუ გაუზიარებთ თქვენს გეგმებს ამხანაგებს. იღბლიანი რიცხვებია: 3, 7. 13, 17, 21, 26, 31. უიღბლო—4, 8, 12, 18, 22, 28.

22 დეკემბერიდან 20 იანვარი

თქვენგან მოითხოვენ კომპეტენტურობას და გადაწყვეტილებას შესრულებას. ზურგის გამაგრების ყველაზე უკეთესი საშუალება: სადაო საკითხების დროული გადაწყვეტა, ახალი კონტაქტების დამყარება და ძველის გაღრმავება. მოერიდეთ დროის უქმად გაფლანგვას. იღბლიანი რიცხვებია: 3, 13, 26, 30. უიღბლო 1, 2, 4, 8, 9, 15, 17, 22 27, 28.

21 იანვრიდან 19 თებერვალი

თქვენ ამ თვეში ბევრი პირადი უკმაყოფილება გექნებათ ყურადღება გაამახვილეთ სამსახურებრივ საქმეებზე, რადგან არც აქ გექნება მაინცდამაინც კარგი მდგომარეობა. ნუ დაიტვირთავთ ნერვულ სისტემას. იღბლიანი რიცხვებია: 2, 12, 22, 24 29. უიღბლო 1, 7, 8, 14, 15, 20, 21, 25, 27, 31.

20 თებერვლიდან 20 მარტი

შინაური და საზოგადოებრივი ურთიერთობა ერთნაირად დაძაბული გექნეშათ, მაგრამ მოგიწევთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აირჩიოთ ერთ-ერთი სფერო—ორივეს ერთად მოწესრიგებას ვერ შეძლებთ. სიტუაცია თვითონ გიკარნახებთ რა არის თქვენთვის მთავარი პრობლემა. მოგიწევთ გადადებული საქმეების მოგვარება. იღბლიანი დღეებია 10, 12, 17, 25, 30, 31. უიღბლო—4, 8, 14, 21, 22, 27.

ეს საინტერესოა

ერეკლეშვილი

შეხვედრა თოკლის კაცთან

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კობდოს აიმაკის სამმა მცხოვრებმა წამების სიზუსტით დააფიქსირა თავისი შეხვედრა თოვლის კაცთან—ალმასთან.

ეს მოხდა სომონ ერდენებურენის ტერიტორიაზე, წერს გაზეთი „უნენი“. წყაროსთან შეამჩნიეს „მეტად დიდი ტანის შავი ადამიანი“.

უცნობმა როგორც კი შეამჩნია გაჩერებული მანქანა და იქიდან გადმოსული ადამიანები, წარმოუდგენელი ნახტომებით რამდენიმე წამში დაფარა ორასამდე მეტრი მანძილი და კლდეებში გაუჩინარდა. შემდგომი გაზომვებისას აღმოჩნდა, რომ ლტოლვილის ნაბიჯების სიგრძე უდრიდა 2 მეტრსა და 61 სანტიმეტრს, ხოლო ტერფის ნაკვალევი—სიგრძით 40 სანტიმეტრს და სიგანით 8 სანტიმეტრს. ამასთან მას ფეხზე ოთხი თითი ჰქონდა—ორი თითი თერმეტი სანტიმეტრი სიგრძისა, სხვა ორიც—13 სანტიმეტრის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთი თვითმხილველისათვის ალმასთან შეხვედრა პირველი შემთხვევა როდი იყო. პირველად მძღოლმა ს. ულზიმ თოკლის კაცი 1988 წელს ნახა.

დარეჯან გრიშას ასულ მუშაკუდიანს
ჯონი რუბენის ძე ჯიქიას

გილოცავთ შეუღლებას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ახალი წელი. ულევი სიხარული, მტკიცე სიყვარული და უსაზღვრო ბედნიერება დაგბედებოდეთ.

ირინე გასვიანი, ნატო მახარობლიძე, ია ახვლედიანი, ნატო სილაგაძე.

მარიკა ჯემალის ასულ ონიანს
გესიკ გიჰიკოს ძე სალუქვაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარულს, სიყვარულს და სიკეთეს აეყვავებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. შვილთა სიმრავლე და სიყვარული დაგბედებოდეთ.

ნატო ნორიკო, დარეჯან მახარობლიძეები, მზია ბურჯალიანი, ლალი კვენტაძე, ფერიდა, ინეზა გოგებაშვილები, ლია ჩხეტიანი, ლია გვიშიანი, ნელი სილაგაძე, თამილა გურასაშვილი.

მარიკა ჯემაღის ასულ ონიანს
გესიკ გიჰიკოს ძე სალუქვაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარულს, სიყვარულსა და სიკეთეს აეყვავებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

აზა, ლამზირა დავითულიანები, ნინო გუგავა, ნინო ახვლედიანი, მაკა ლეშკაშელი, ლელა ურთმელიძე, მთვარისა სილაგაძე, გიული გვიშიანი, მზისა ბურჯალიანი, ციალა ელისო კვენტაძეები.

საახალწლო ნაკვესები

*საქართველომ წაუტრაბახა ახალ წელს—ანდაზა გავინაღდე: „თავი ისუფალი მაშინ ხარ, თავის უფალი თუ ხარო“.

*საქართველომ გაიხარა—წელს მარტო ახალი წელი კი არა, მაგარი წელიც მესტუმრაო.

*გასულმა წელმა უპატაკა ახალს—სამოკავშირო ხელშეკრულებაზე ხელი არ მოვაწერე, რაკი ხელ-ფეხ-შეკრულობა მელოდაო.

*საქართველომ საახალწლო ინტერვიუ მისცა—წელს არც ლოცვა მაკლია და არც მოლოცვაო.

*ახალწელს უბრძანეს—ნისია ლოზუნგი „მიწა-გლეხს, ქარხანა—მუშას“, შენ უნდა გაანაღდოო.

*ახალმა წელმა იკითხა—რითი მივაღწიო ყველა ოჯახში საამურ კერძსაო, და—მხოლოდ კერძოობითაო.

*ახალწელს მოახსენეს—წლევანდელი არჩევნები ისეთი აბანო იყო, სადაც ნაღდად გამოჩნდა... „თეთრი და შავიო“.

*ახალი წელი დამოძღვრეს—თუ გინდა რომ ეკა და ნიკა კარგად გუყავდეს, ეკონომიკა ამოქაჩეო.

*ახალ წელს ჩაუკენეს—კრემლში, თავისი სიტყვით, ახათიანმა ათახასიანი კორპუსი გააოცაო.

*ახალმა წელმა რომ ქართველთა ქიშპობის ამბავი მოისმინა, დაიმოძღვრა—ხარკამეჩს რომ მგელი დაეცემა, ერთმანეთის რქენაც თავს ანებებენ, კუდიკუდს მიაბჯენენ და მგელი ვეღარას აკლებს ხოლმეო.

*ახალმა წელმა ჰკითხა გასულს—ძვირფასს რას მაბარებო, და—მხოლოდ ბაზარს, სადაც ჯანმაგარჯიბიანებს უშვებენ, ჯამაგირიანებს—არაო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

შვილები ნაზიკო, მურთაზი, სიძეჯემალ ლეთოდიანი, შვილიშვილები თენგიზ კოპალიანი, ვახტანგ, ზაალ ლეთოდიანები, და ვერა კოპალიანი, სიძე მიშა ლიპარტელიანი, დისშვილები, დისშვილიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია მიხეილის ასული
კოპალიანი.

დაკრძალვა 3 იანვარს, ხუთშაბათს, სოფ. ზარაგულაში.

რეზო სვანიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სეფორან ბრეგვაძე.

ოთარ კობერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სეფორან ბრეგვაძე.

ცოლისძმისშვილი ფოთოლა ჭაბუკიანი, ცოლისდისშვილები მერი გურგუჩიანი, დოდო, დინარა, ლერი საღინაძეები, ციცო, კუსუ ონიანები, რძლები ზოია, ნაირა, სიძეები რეზო გურგუჩიანი, გურამ ნემსაძე, ვალიკო გარდაფხაძე, სოზარ ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტარიელ ნიკოლოზის ძე
კორაშვილი.

დაკრძალვა 3 იანვარს, ხუთშაბათს, ქ. გორში, გამოსვენება დიმიტროვის ქ. №45.

ემზარ ბრეგვაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სეფორან ბრეგვაძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის საშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.